

საბჭაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება

სარეკომენდაციო წიგნი მასწავლებელთათვის

XI კლასი

2011

წინასიტყვაობა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 17 წელს მიღწეული პირები, რომლებსაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი ექნებათ საგანი საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, მშობლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, დაიშვებიან მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდებზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით მიიღებენ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას.

საგნის სწავლება მოსწავლეებს გააცნობიერებინებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებს და განუვითარებს/ჩამოუყალიბებს ქუჩაში წესების მოთხოვნების დაცვით მოძრაობის კულტურას.

საბნის სწავლების ორბანიზება

საგანი „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" 52 აკადემიურ საათზე არის გათვლილი. პირველ სემესტრში საგანი ისწავლება კვირაში - 1 საათიანი დატვირთვით, მეორე სემესტრში კი - 2 საათიანი დატვირთვით.

სასწავლო მასალა ორ სახელმძღვანელოს მოიცავს: მოსწავლის წიგნისა და პრაქტიკული სავარჯიშოების (ტესტების) კრებულს. თეორიული ნაწილის სახელმძღვანელო 24 თემად არის დაყოფილი, ტესტების კრებულში კი 28 ტესტი არის გაერთიანებული. საგნის სწავლება იწყება თეორიული მასალის გაცნობით, მხოლოდ მე - 6 თემის გავლის შემდეგ ერთი გაკვეთილი ეთმობა თეორიული მასალის შესწავლას, მომდევნო კი პრაქტიკული სავარჯიშოების კრებულიდან თემის შესაბამისი ტესტების განხილვას.

ბოლო 9 გაკვეთილის მიზანი არის განვლილი მასალის განმტკიცება და გამეორება, ამიტომ, უნდა მოხდეს პრაქტიკული სავარჯიშოების (ტესტების) კრებულიდან რთული, კომპლექსური ტესტების შესრულება და განხილვა.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

მოსწავლის წიგნის შინაარსი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. მისი შინაარსი დაყოფილია თემებად. თემის სტრუქტურაში გათვალისწინებულია: ტექსტი და შეკითხვები თვითშემოწმებისთვის. ზოგიერთი თემისთვის გათვალისწინებულია სიტუაციური ამოცანები და საშინაო დავალებები.

სახელმძღვანელოს თან ერთვის ტესტების კრებული. თემატურად დაჯგუფებულ ტესტებს ბოლოში დართული აქვს განმარტებები და სწორი პასუხები, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარებათ სწორი პასუხების გააზრებაში.

გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

თეორიული თუ პრაქტიკული გაკვეთილის ჩატარება უნდა მოხდეს წინასწარ მოფიქრებული და გააზრებული გეგმის მიხედვით. ყოველი გაკვეთილი სასწავლო მიზნის დასახვით იწყება. *გაკვეთილის პირველი ეტაპი* არის მოსწავლეთა გამოწვევა, რაც სადისკუსიო შეკითხვის დასმით, გონებრივი იერიშით, სიტუაციური ამოცანის განხილვით არის შესაძლებელი. მაგ., მასწავლებელი სანამ დაიწყებს თემის - „საგზაო ნიშნების ზოგად დახასიათება” ახსნას, მანამდე მიმართავს გონებრივ იერიშს და ეკითხება მოსწავლეებს, თუ

მათი აზრით, რა ფუნქცია აქვს საგზაო ნიშნებს? ან თემის - "საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ და მასში გამოყენებული ტერმინები" გაცნობამდე ჯერ მოსწავლეებს ყოფს ჯფუფებად, ურიგებს ტერმინებს და სთხოვს მათ განმარტებას. მოსწავლეთა მოსაზრებებს აკრავს დაფაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ესაუბრება მათ კანონში გამოყენებული ტერმინოლოგიის შესახებ.

გაკვეთილის შემდგომი ეტაპი შინაარსის რეალიზებაა - ახალი შინაარსის, ცნებების, უნარების ათვისება, რაც ლექციით, მოსწავლეთა ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობით, შეკითხვებზე პასუხის გაცემით ხორციელდება.

გაკვეთილის ბოლო ეტაპი არის რეფლექსია - ცოდნისა და უნარების გავრცობა-გაღრმავება. მისი განხორციელება შესაძლებელია თემის ბოლოს სიტუაციური ამოცანების გაანალიზებით ან ტესტების კრებულში წარმოდგენილი სავარჯიშოების შესრულებით. მაგ., პრიორიტეტის ნიშნების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები მოსწავლეებს სთავაზობს გზაჯვარედინის სქემას, სადაც მოსწავლეებმა გზაჯვარედინზე მოძრაობის დარეგულირების - მთავარი გზის განსაზღვრის მიზნით უნდა განათავსონ საგზაო ნიშნები.

სასურველია, რომ გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებმა იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში ან ჯგუფებად.

სწავლების ზოგიერთი მეთოდის მოკლე მიმოხილვა

გაკვეთილის ჩატარება სხვადასხვა მეთოდის დახმარებით არის შესაძლებელი. გთავაზობთ სწავლების რამდენიმე მეთოდს, რომელიც საგნის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“-ის სწავლების დროს გამოგადგებათ.

ლექცია

ლექციის მიზანი აუდიტორიისათვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემაა. ლექცია მოსწავლეებს უფრო მეტად აწვდის დიდი რაოდენობით ინფორმაციას და ნაკლებად იძლევა უნარების განვითარების შესაძლებლობას.

მეთოდისთვის მომზადების ეტაპი:

სალექციოდ შეიძლება შეირჩეს ნებისმიერი მასალა ფაქტების, იდეების, თეორიებისა და ა.შ. შესახებ.

ლექციის წასამართად მოსწავლეებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს თეორიული და ვიზუალური მასალები სხვადასხვა წყაროდან, გრაფიკები, ფოტო - მასალა და ა.შ, რათა ლექცია საინტერესო იყოს მოსწავლეებისათვის.

სალექციო მასალა ლოგიკური თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული (მარტივიდან რთულისაკენ) და ადვილად გასაგები უნდა იყოს მოსწავლეებისათვის; ამავე

დროს არ უნდა იყოს გადატვირთული ძალიან ბევრი განსხვავებული ტიპის ინფორმაციით – სასურველია, ერთი ლექცია ერთ თემას ეთმობოდეს.

მეთოდის მიმდინარეობა:


ლექციის წარმართვისას მომხსენებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მომხსენებელი მონოლოგის სახით წარადგენს სასწავლო თემატიკას.

ლექცია სწავლების შედარებით პასიურ ფორმადაა მიჩნეული, სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით მასწავლებელმა უნდა წახალისოს მოსწავლეები, ისინი უნდა ჩაერთოს ლექციის მსვლელობაში და დასვან მათთვის საინტერესო კითხვები. მასწავლებელმა მუდმივად უნდა იქონიოს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან; პერიოდულად შეამოწმოს, რამდენად უსმენს აუდიტორია და მისცეს შესაბამისი უკუკავშირი (გააკეთოს კომენტარი).

რეკომენდაცია:

- ლექციის წაკითხვისას მასწავლებელმა, სასურველია, მოსწავლეები ისე გადაანაწილოს ოთახში, რომ ხელი შეეწყოს მათ აქტიურ მონაწილეობას. შესაბამისად, სასურველია არა ფრონტალური (როდესაც მასწავლებელი მსმენელის წინ დგას დაფასთან), არამედ სადისკუსიო სტილის (მოსწავლეები და მასწავლებელი განლაგებული არიან წრეში, მაგიდის ირგვლივ ისე, რომ ყველა ერთმანეთს კარგად ხედავს და მასწავლებელს აქვს საშუალება, მიუახლოვდეს ნებისმიერ მოსწავლეს) გამოყენება.
- ლექციის ბოლოს მასწავლებელი დასკვნის სახით აჯამებს ძირითად პუნქტებს.

ლექციის ჩატარებას არ სჭირდება განსაკუთრებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თუმცა, სასურველია ყოველთვის გამოყენებულ იქნას ვიზუალური მასალა - გრაფიკები, ფოტო - მასალა, ცხრილები და ა.შ.



დისკუსია

დისკუსია არის ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მიზანი სხვადასხვა მიდგომის, იდეისა თუ პრობლემის ჯგუფში განხილვაა.

თუ ლექციის დროს მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, დისკუსიის დროს, პირიქით, მოსწავლეები არიან აქტიურნი და მასწავლებელი იღებს მათგან ინფორმაციას. რაც უფრო ინტენსიურია დისკუსია, მით მეტად ეფექტურია ის.

დისკუსია ეფექტური მეთოდია მთელი რიგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის: მსჯელობა, აქტიური მოსმენა, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი, არგუმენტების ჩამოყალიბება და სხვა. დისკუსია შეიძლება კარგი მოტივატორი იყოს

მოსწავლეებისათვის, რათა მათ დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია სადისკუსიო თემაზე.

მეთოდის მიმდინარეობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს აძლევს გარკვეულ თემატიკას, რომლის ირგვლივაც ისინი 10-15 წუთის განმავლობაში ამზადებენ თეზისებს, საკვანძო სასაუბრო თემებს. მოფიქრების დროის ამოწურვის შემდგომ მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს და იწყებს დისკუსიას, რომლის განმავლობაშიც თითოეულ ჯგუფს აძლევს აზრის გამოხატვის საშუალებას, ასევე თვალყურს ადევნებს რამდენად ჩართული იყო ყველა მონაწილე დისკუსიის პროცესში. დისკუსიის დასრულების შემდგომ მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას.

რეკომენდაცია:

- სადისკუსიოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს. სადისკუსიო თემებს ახლავს ხოლმე შემდეგი კითხვები: „რატომ?“ „როგორ?“, „რა მოხდებოდა?“ და ა.შ.
- დისკუსიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებს სადისკუსიო თემაზე საკმარისი ცოდნა უნდა ჰქონდეთ, რომ შესძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა, მისი დაცვა ან სხვისი აზრის გაკრიტიკება – წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსია აზრს დაკარგავს. დისკუსია, როგორც წესი, შემოიფარგლება ორი საწინააღმდეგო აზრის/პოზიციის განხილვით.
- დისკუსიის წარმატებით ჩატარებაზე პირველ რიგში მასწავლებელია პასუხისმგებელი. მან უნდა დაარეგულიროს პროცესი და შეასრულოს ფასილიტატორის¹ ფუნქცია; მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ჩატარების ფორმატი: ვინ და რა ხნის განმავლობაში ლაპარაკობს? რა თანამიმდევრობით? როგორ უნდა დავსვათ შეკითხვები? და ა.შ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა მოსწავლის მონაწილეობა, წახალისოს შედარებით პასიური მოსწავლეები.
- მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განსაზღვროს დისკუსიის ძირითადი წესები, მაგ.: მოსწავლეები ერთდროულად არ ლაპარაკობენ; არ აწყვეტინებენ სხვებს საუბარს; დისკუსიაში ყველა მონაწილეობს; განიხილავენ სხვების მოსაზრებებს თუ პოზიციებს და არა პიროვნებებს; ყოველი მოსწავლე ასაბუთებს თავის მოსაზრებას; პატივს სცემს სხვის აზრს.
- მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დისკუსიის პროცესში თვითონ დომინანტური არ უნდა იყოს; არ უნდა გამოხატოს სიმპათია თუ ანტიპათია მოკამათე მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისადმი; ის უნდა იყოს ნეიტრალური და ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდეს;
- დისკუსიის დასრულების შემდეგ აუცილებელია მისი შეჯამება, რასაც თავდაპირველად მასწავლებელი აკეთებს, ხოლო გამოცდილების დაგროვებასთან

¹ პირი, რომელიც ჯგუფს ეხმარება მიზნების მიღწევის პროცესის რეგულირებაში ისე, რომ არ ხდება ჯგუფის წევრი.

ერთად მოსწავლეებიც აქტიურად ერთვებიან. შეჯამებისას უნდა გაანალიზდეს როგორც შინაარსი, ანუ რის მომცემი იყო დისკუსია, რა ისწავლეს და ა.შ მოსწავლეებმა, ასევე პროცესი - რამდენად კომფორტულად გრძნობდნენ მოსწავლეები თავს, ადვილი იყო თუ არა წესების დაცვა და ა.შ.

მასწავლებელი მეტად ყურადღებით უნდა იყოს დიდ ჯგუფში დისკუსიის ჩატარების დროს, უნდა შეძლოს ყველა მოსწავლის ჩართვა, ისე, რომ დისკუსიამ თავისი ფუნქცია არ დაკარგოს. მნიშვნელოვანია, რომ დისკუსიისას „მოწინააღმდეგე“ მხარეებში მოსწავლეების თანაბარი რაოდენობა იყოს. სასურველია, „მოწინააღმდეგე“ მხარეები ერთმანეთის პირდაპირ განთავსდნენ, ხოლო მასწავლებელს, როგორც დისკუსიის ფასილიტატორს, უნდა შეეძლოს ორივე ჯგუფთან თავისუფალი ურთიერთობა.

დისკუსიის ჩატარებას, როგორც წესი, განსაკუთრებული გარემო ან დამხმარე საშუალებები არ სჭირდება, თუმცა სასურველია დაფის არსებობა, დისკუსიაში მონაწილე მხარეებს რომ მიეცეთ საკუთარი აზრების წერილობით გამოხატვის საშუალება.

შემთხვევის განხილვა (სიტუაციური ამოცანა)

შემთხვევის/სიტუაციური ამოცანის განხილვა ფართოდ გამოიყენება სწავლების პროცესში. მეთოდის გამოყენებისას მოსწავლე მსჯელობს სიტუაციაზე და ამის დახმარებით არსებულ ცოდნას პრაქტიკულ გამოცდილებასთან უკავშირებს. მისი მიზანი კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე, დამატებითი ინფორმაციისა/ ცოდნის შექმნა და არსებული ცოდნის გამყარება.

მეთოდის მიმდინარეობა:

შემთხვევის შესწავლისას ხდება ამ კონკრეტული შემთხვევის გააზრება და გაანალიზება.

შემთხვევის/სიტუაციის მეთოდის გამოყენებისას, მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს სასწავლო თემასთან დაკავშირებულ რაიმე სიტუაციას, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს ერთი ადამიანის ან/და გარკვეული ჯგუფის ისტორიას. სიტუაციის წარდგენის შემდგომ მოსწავლეები იწყებენ სიტუაციის ირგვლივ მსჯელობას, მოჰყავთ მოქმედების გასამართლებელი/გამამტყუნებელი არგუმენტები. არგუმენტების დასაბუთებისას მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა. მაგ., ამკრძალავი ნიშნების გაცნობის შემდეგ, მასწავლებელი სთავაზობს განსახილველ სიტუაციას მოსწავლეებს: „შეუძლია თუ არა ტაქსის მძღოლს ნიშნის - 3.30 მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანის გაჩერება, თუ დღეს 30 ივნისია და მძღოლს ჩართული აქვს ტაქსომერი“.

მოსწავლეები კი განვილილ მასალაზე დაყრდნობით მსჯელობენ, რომ აღნიშნული ნიშანი ზოგადად აკრძალავს ზონის წინ კრძალავს თვის ლუწ რიცხვებში დგომას, მაგრამ აკრძალვა არ ეხება ტაქსს, რომელსაც ჩართული აქვს ტაქსომერი.

შემთხვევის განხილვამდე, საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს მასალა (განსახილველი შემთხვევა ან სიტუაციური ამოცანა).

რეკომენდაცია:

- მასალა საინტერესო და აქტუალური უნდა იყოს მოსწავლეებისათვის; ითვალისწინებდეს მათ ასაკობრივ თავისებურებას და შესაძლებელი იყოს მის შესახებ მსჯელობა.
- განსახილველ მასალასთან ერთად, უნდა მომზადდეს ძირითადი განსახილველი კითხვები; კითხვები შეიძლება ეხებოდეს მოსწავლეების დამოკიდებულებას კონკრეტული ადამიანის საქციელის, ჯგუფის ან შემთხვევაში აღწერილი სიტუაციას მიმართ, როგორ ხედავენ ისინი ამ შემთხვევას, რა არის მათთვის მისაღები, მიუღებელი, როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა და ა.შ.
- შემთხვევის განხილვას სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა არ სჭირდება; სასურველია, ყველა მოსწავლეს ინდივიდუალურად ჰქონდეს შემთხვევა ამოხსნილი სახით ან მასწავლებელმა გამოიყენოს პროექტორი და ლეპტოპი.

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში წარმოადგენს ჯგუფური მუშაობის მეთოდს, რომლის მიზანია კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური რაოდენობის იდეების შეგროვება და განხილვა.

გონებრივი იერიში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გვინდა განსახილველ საკითხზე რაც შესაძლებელია ბევრი იდეისა და მოსაზრების შეგროვება და ჯგუფთან კონსენსუსის საფუძველზე სასურველი რაოდენობის იდეების შერჩევა.

გონებრივი იერიშის დროს ბევრი იდეა გროვდება, რომელთაგან საბოლოოდ ჩვენთვის საჭირო რაოდენობის იდეები შეირჩევა.

მეთოდის მიმდინარეობა:

გონებრივი იერიშის პროცესი საკმაოდ მარტივია; თავდაპირველად დამრიგებელი გამოყოფს განსახილველ თემას და ადგენს გეგმას. გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება, მაგალითად, ყველა იდეა სწორია და ყველა იდეა უნდა იყო განხილული; გონებრივი იერიშის პროცესში არაფერს განვსჯით და ვაფასებთ; მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი; ყველა იდეის მიმართ მოსწავლეები და მასწავლებლები არიან ღია.

მოსწავლეები დასმული საკითხის ირგვლივ ასახელებენ რაც შეიძლება ბევრ იდეას და მასწავლებელი მათ დაფაზე ან ფლიპჩარტზე ინიშნავს. დროის ლიმიტი წინასწარ არის განსაზღვრული, მაგალითად 20-25 წთ.

იდეების დაწერის შემდეგ მასწავლებელი მათ ხმამაღლა კითხულობს ისე, რომ, ჯგუფის ყველა წევრისათვის გასაგები იყოს; შემდეგ მოსწავლეები აფასებენ იდეებს,

დავუშვათ, 3 ან 5 - ბალიან სკალაზე და მსგავს იდეებს აჯგუფებენ. საბოლოოდ ჩვენთვის სასურველ, ყველაზე მაღალქულიან იდეებს შევარჩევთ, მაგალითად, 3-4 იდეას.

რეკომენდაცია:

- გონებრივი იერიში მიჰყავს მასწავლებელს; მას უნდა შეეძლოს კარგი მოსმენა, უკუკავშირის მიცემა და მოსწავლეების წახალისება იდეების მისაწოდებლად.
- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს პროცესის მიმდინარეობას, რომ რაც შეიძლება მეტი იდეა და მოსაზრება შეაგროვოს. მასწავლებლის პროცესში ნეიტრალურია. გონებრივი იერიშის შემდეგ ხდება შედეგის შეფასება.

გონებრივი იერიშის დროს ჯგუფის ზომა არ უნდა იყოს ძალიან დიდი, თუმცა დიდი ჯგუფის შემთხვევაშიც მასწავლებელმა უნდა შესძლოს ყველა მოსწავლის პროცესში ჩართვა. სასურველია, მონაწილეები ისხდნენ წრეში, შესაძლებელია, მაგიდის ირგვლივ, ხოლო მასწავლებელი ისე იდგას ჯგუფის წინ, რომ ყველა მხრიდან კარგად ჩანდეს. გონებრივი იერიშის ჩასატარებლად აუცილებელია დაფა ან ფლიპჩარტი და ფერადი მარკერები.

პრეზენტაცია

პრეზენტაცია არის ჯგუფის წინაშე გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წარდგენა.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორცაა კომუნიკაცია, საკუთარი პოზიციისა თუ მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა, არგუმენტირება, პოზიციის დაცვა და ა.შ.

მეთოდის მიმდინარეობა:

მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის პრეზენტაციის თემას და აძლევს მოსამზადებელ პერიოდს, რომლის შემდგომაც მოსწავლე წარსდგება ჯგუფის წინაშე. პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ჯგუფის წევრები და მასწავლებელი მომხსენებელს აძლევს შეკითხვებს. შეკითხვების ამოწურვის შემდგომ მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას.

რეკომენდაცია:

- პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია, რომ პრეზენტაციის თემების რაოდენობა ძალიან ბევრი არ იყოს; რეკომენდებულია მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.
- პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი თავისებურება. ასევე, თუ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, მან წინასწარ უნდა მისცეს პრეზენტაციის ტიპური სქემა.

პრეზენტაცია სამი ნაწილისაგან შედგება:

1. შესავალი - შესავალი პრეზენტაციის აუცილებელი ნაწილია. ამ ნაწილის მიზანია აუდიტორიის ინტერესისა და ყურადღების მიქცევა, პირველადი კონტაქტის დამყარება. ეს ნაწილი შედარებით ხანმოკლეა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20%-ს შეადგენს.
2. ძირითადი ნაწილი. ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. ძირითად ნაწილში ხდება დებულებების, მოსაზრებების და ა.შ. განხილვა, საილუსტრაციო მასალების გამოყენება. პრეზენტაციის გაკეთებისას გასათვალისწინებელია საუბრის ტონი, ქცევის მანერა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ეს ნაწილი პრეზენტაციის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 70%-ს შეადგენს.
3. დასკვნა-დასკვნით ნაწილში ხდება პრეზენტაციის შეჯამება, თუ რას ემსახურებოდა პრეზენტაცია, რა არის მიღებული შედეგები და ა.შ. ეს ნაწილი პრეზენტაციის დროის დაახლოებით 10%-ს შეადგენს

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს პრეზენტაციის შეფასების ფორმა და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად შეაფასოს პრეზენტაცია.

პრეზენტაციის გაკეთება სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს - პროექტორი, ლეპტოპი, დაფა ან ფლიპჩარტი. სასურველია, თუ პრეზენტაცია Power Point-ის ფორმატში გაკეთდება.

ბაკვეთილების სცენარები

ჩვენს მიერ მოწოდებული მეთოდების გამოყენებით გათავაზობთ ტიპური გაკვეთილების 5 სცენარს. გაკვეთილის დაგეგმვისას თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მეთოდებიც, რომელთა შესახებაც დამატებით ინფორმაციას იხილავთ შემდეგ სახელმძღვანელოებში: სწავლება და შეფასება - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2008 წელი; სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2008 წელი; ეფექტური სწავლება სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2009 წელი; როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2007 წელი.

ბაკვეთილის ბეჭედი №1

<p>ბაკვეთილის თემა - საგზაო ნიშნებისა და საგზაო მოძრაობის წესების წარმოშობის ისტორია; საერთაშორისო კონვენციები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე. თემა 1.</p>		<p>მოსალოდნელი შედეგი</p>				
		<p>ს.ნ. XI.1. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კონვენციების არსებობის აუცილებლობა. შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიმოიხილავს კონვენციის შემუშავების ისტორიას; • მსჯელობს საგზაო ნიშნების უნიფიცირების აუცილებლობის შესახებ. 				
მიზანი	ბაკვეთილის ფორმა	ორგანიზება	დროის განაწილება	გამოყენებული მეთოდები	რესურსები	შეფასების ფორმა
<p>საგზაო ნიშნები სა და საგზაო მოძრაობის წესების წარმოშობის ისტორია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კონვენციების გაცნობა, მათი არსებობის აუცილებლობის გაცნობიერება.</p>	<p>თეორიული - მიმდინარე</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>5-10 წთ</p>	<p>დისკუსია</p>	<p>სახელმძღვანელო</p>	<p>კითხვა-პასუხი კომენტარი</p>
		<p>მთელი კლასი</p>	<p>15-20 წთ</p>	<p>ლექცია</p>	<p>თვალსაჩინოებები</p>	
		<p>ინდივიდუალური, ან წყვილებში მუშაობა, მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად</p>	<p>5 -10 წთ</p>	<p>დავალებების შესრულება</p>		
		<p>მთელი კლასი</p>	<p>15-20 წთ</p>	<p>დისკუსია</p>		

ბაკვეთილის სცენარი

გამოწვევა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს. უსვამს კლასს *სადისკუსიო შეკითხვას*: „თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ საგზაო ნიშნები ავტომობილების გაჩენამდე შექმნილიყო? რა იქნებოდა მათი მიზანი?“

შინაარსის რეალიზება - ახალი შინაარსის, ცნებების, უნარების ათვისება

მასწავლებელი *კითხულობს ლექციას საგზაო ნიშნებისა და საგზაო მოძრაობის წესების წარმოშობის ისტორიის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საერთაშორისო კონვენციების შესახებ*.

რეფლექსია-ცოდნის განმტკიცება და გავრცობა

ცოდნის განმტკიცების მიზნით მოსწავლეები (ინდივიდუალურად ან წყვილებში) პასუხობენ თემის ბოლოს მოცემულ შეკითხვებს და ახდენენ მათ პრეზენტაციას კლასის წინაშე.

ბაკვეთილის გეგმა

<p>გაკვეთილის თემა - სახელმწიფო პოლიტიკა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები.</p> <p>თემა 4.</p>		<p>მოსალოდნელი შედეგები</p> <p>ს.ნ. XI.2. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ საგზაო უსაფრთხოების სფეროში.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის რეგულაციის აუცილებლობის შესახებ; • აცნობიერებს საგზაო უსაფრთხოების სფეროში მონაწილეთა ცოდნის ამაღლების მნიშვნელობას; • თანაკლასელებთან ერთად შეიმუშავებს პროექტს მის რეგიონში/ქალაქში საგზაო შემთხვევების შესამცირებლად (მაგ., მოიძიებს ინფორმაციას მის რეგიონში /ქალაქში საგზაო შემთხვევების სტატისტიკურ ინფორმაციას, გამოჰყოფს საგზაო შემთხვევების გამომწვევ ძირითად პრობლემებს და შეიმუშავებს მისი გადაჭრის გზებს). 				
მიზანი	გაკვეთილის ფორმა	ორგანიზება	დროის განაწილება	გამოყენებული მეთოდები	რესურსები	შეფასების ფორმა
<p>მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების გაცნობა, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების და მათგან გამოწვეული ზიანის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გაცნობიერება.</p>	<p>თეორიული - მიმდინარე</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>5 წთ</p>	<p>გონებრივი იერიში</p>	<p>სახელმძღვანელო</p>	<p>კითხვა-პასუხი</p>
		<p>მთელი კლასი</p>	<p>15 წთ</p>	<p>ლექცია</p>	<p>თვალსაჩინოებები</p>	<p>კომენტარი</p>
		<p>ინდივიდუალური, ან წყვილებში მუშაობა, მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად</p>	<p>5 წთ</p>	<p>დავალებების შესრულება</p>		
		<p>მთელ კლასთან მუშაობა</p>	<p>5 წთ</p>	<p>დისკუსია</p>	<p>თვალსაჩინოებები</p>	<p>კომენტარი</p>
		<p>ჯგუფებში მუშაობა</p>	<p>10 წთ</p>	<p>ჯგუფური აქტივობა</p>		
<p>ჯგუფებში მუშაობა</p>	<p>5 წთ</p>	<p>პრეზენტაცია</p>				

გაკვეთილის სცენარი

გამოწვევა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და *მიმართავს გონებრივ იერიშს*: რა იწვევს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებს? აფიქსირებს მოსწავლეთა მოსაზრებებს დაფაზე.

შინაარსის რეალიზება - ახალი შინაარსის, ცნებების, უნარების ათვისება

მასწავლებელი მოსწავლეებს *ესაუბრება* მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ.

რეფლექსია-ცოდნის განმტკიცება და გავრცობა

მოსწავლეები წყვილში ან ინდივიდუალურად კითხულობენ თემის ბოლოს დართულ შეკითხვებს და მსჯელობენ აღნიშნული საკითხების ირგვლივ.

მასწავლებელი კლასს ყოფს 3-4 კაციან ჯგუფებად და აძლევს დავალებას : „რა უნდა გაკეთდეს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობის და მათგან გამოწვეული ზიანის შესამცირებლად? (არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რუბრიკა - „ეს საიტერესოა“).

მოსწავლეები ახდენენ ნამუშევრების პრეზენტაციას.

ბაკვეთილის გეგმა

<p>გაკვეთილის თემა - მიმთითებელი ნიშნები თემა 8.</p>		<p>მოსალოდნელი შედეგები</p> <p>ს.ნ.. XI.3. მოსწავლეს შეუძლია საგზაო ნიშნების სხვადასხვა ჯგუფის განსხვავება და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცნობს და განასხვავებს საგზაო ნიშნების ჯგუფებს ფერის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით; • ასახელებს კონკრეტული ვითარების შესაბამის საგზაო მოძრაობის წესებს (მაგ., განმარტავს თუ რატომ არის მოცემული რომელიმე აკრძლების ნიშანი, ამა თუ იმ ადგილას) . 				
მიზანი -	გაკვეთილის ფორმა	ორგანიზება	დროის განაწილება	გამოყენებული მეთოდები	რესურსები	შეფასების ფორმა
<p>მიმთითებელი ნიშნების გაცნობა, მათი ფუნქციის და კონკრეტული ვითარების შესაბამისი საგზაო მოძრაობის წესების გაცნობიერება.</p>	<p>თეორიული - მიმდინარე</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>15-20 წთ</p>	<p>ლექცია</p>	<p>სახელმძღვანელო</p>	<p>კითხვა-პასუხი</p>
		<p>ინდივიდუალური, ან წყვილებში მუშაობა, მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად</p>	<p>5 -10 წთ</p>	<p>დავალებების შესრულება</p>	<p>თვალსაჩინოებები</p>	<p>კომენტარი</p>
		<p>მთელი კლასი</p>	<p>10 წთ</p>	<p>დისკუსია</p>		
<p>მთელი კლასი</p>	<p>10 წთ</p>	<p>გონებრივი იერიში</p>				

ბაკვეთილის სცენარი

შინაარსის რეალიზება - ახალი შინაარსის, ცნებების, უნარების ათვისება

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და *ესაუბრება* მიმთითებელი ნიშნების შესახებ თვალსაჩინოებების გამოყენებით.

რეფლექსია-ცოდნის განმტკიცება და გავრცობა

მოსწავლეები წყვილში ან ინდივიდუალურად კითხულობენ თემის ბოლოს დართულ შეკითხვებს და მსჯელობენ აღნიშნული საკითხების შესახებ, გამოთქვავენ და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას.

მასწავლებელი მიმართავს გონებრივ იერიშს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი სიტუაციური ამოცანების გამოყენებით.

1. შეგიძლიათ რომ ფეხით გაიაროთ ნიშნის - 4.5 მიმდებარე ტერიტორიაზე, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის ტრორუარი?
2. თუ სარგებლობთ ველოსიპედით და ხედავთ, რომ იქვე განთავსებული არის ნიშანი 4.6. როგორ მოიქცევით ამგვარ სიტუაციაში?

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

№ 4

პრაქტიკული

ბაკვეთილის გეგმა

<p>გაკვეთილის თემა - მიმთითებელი ნიშნები</p> <p>თემა 8.</p> <p>ტესტი № 3</p>		<p>მოსალოდნელი შედეგები</p> <p>ს.ნ.. XI.3. მოსწავლეს შეუძლია საგზაო ნიშნების სხვადასხვა ჯგუფის განსხვავება და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცნობს და განასხვავებს საგზაო ნიშნების ჯგუფებს ფერის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით; • ასახელებს კონკრეტული ვითარების შესაბამის საგზაო მოძრაობის წესებს (მაგ., განმარტავს თუ რატომ არის მოცემული რომელიმე აკრძალვის ნიშანი, ამა თუ იმ ადგილას) . 				
მიზანი	გაკვეთილის ფორმა	ორგანიზება	დროის განაწილება	გამოყენებული მეთოდები	რესურსები	შეფასების ფორმა
<p>მიმთითებელი ნიშნების გათვალისწინებით კონკრეტული ვითარების შესაბამისი საგზაო მოძრაობის წესების გაცნობიერება, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების უნარის განვითარება.</p>	<p>პრაქტიკული - მიმდინარე</p>	<p>ჯგუფებში მუშაობა</p>	<p>20 წთ</p>	<p>დავალებების შესრულება</p>	<p>პრაქტიკული სავარჯიშოების (ტესტების) კრებული</p>	<p>კომენარი</p>
		<p>მთელ კლასთან მუშაობა</p>	<p>15 წთ</p>	<p>პრეზენტაცია</p>		
		<p>მთელ კლასთან მუშაობა</p>	<p>10 წთ</p>	<p>დისკუსია</p>		

ბაკვეთილის სცენარი

რეფლექსია-ცოდნის განმტკიცება და გავრცობა

პრაქტიკული სავარჯიშოების განხილვამდე მასწავლებელი კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად, რომელებიც დამოუკიდებლად იმსჯელებენ პრაქტიკული სავარჯიშოების (ტესტების) კრებულის №3 ტესტში წარმოდგენილი სავარჯიშოების შესახებ და დააფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს, ასაბუთებენ პასუხების არჩევანს.

ბაკვეთილის დასკვნით ეტაპზე მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, აკეთებს კომენტარს, კიდევ ერთხელ ასაბუთებს სწორ პასუხებს.

გაკვეთილის გეგმა

<p>გაკვეთილის თემა - მომსახურების (სერვისის) ნიშნები</p> <p>თემა 11.</p>		<p>მოსალოდნელი შედეგები</p> <p>ს.ნ.. XI.3. მოსწავლეს შეუძლია საგზაო ნიშნების სხვადასხვა ჯგუფის განსხვავება და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცნობს და განასხვავებს საგზაო ნიშნების ჯგუფებს ფერის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით; • ასახელებს კონკრეტული ვითარების შესაბამის საგზაო მოძრაობის წესებს (მაგ., განმარტავს თუ რატომ არის მოცემული რომელიმე აკრძალვის ნიშანი, ამა თუ იმ ადგილას) . 				
მიზანი	გაკვეთილის ფორმა	ორგანიზება	დროის განაწილება	გამოყენებული მეთოდები	რესურსები	შეფასების ფორმა
<p>მომსახურების (სერვისის) ნიშნების გაცნობა, მათი დაკავშირება აღმნიშვნელობიერებთან.</p>	<p>თეორიული - მიმდინარე</p>	<p>მთელ კლასთან მუშაობა</p>	<p>5 წთ</p>	<p>გამოწვევა - კოგნიტური დიაგრამის გამოყენება</p>	<p>სახელმძღვანელო</p> <p>თვალსაჩინოებები</p>	<p>კითხვა-პასუხი</p> <p>კომენარი</p>
		<p>წყვილებში მუშაობა</p>	<p>10 წთ</p>			
		<p>მთელ კლასთან მუშაობა</p>	<p>15</p>	<p>ლექცია</p>		
		<p>ინდივიდუალური, ან წყვილებში მუშაობა, მოსწავლეთა არჩევანის შესაბამისად</p>	<p>5 წთ</p>	<p>დავალებების შესრულება</p>		
		<p>მთელი კლასი</p>	<p>10 წთ</p>	<p>დისკუსია</p>		

ბაკმეთილის სცენარი

გამოწვევა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და **დაფაზე ავსებს ცხრილს:**
„ ვიცი – მინდა გავიგო – გავიგე“ პირველ ორ გრაფას. გაკვეთილი იწყება შეკითხვით: „ მომსახურების (სერვისის) რომელი ნიშნები ვიცით?“.

მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და სთხოვს მეხიერებით აღიდგინონ და ჩახატონ მომსახურების ნიშნები. მასწავლებელი ამაგრებს დაფაზე მოსწავლეთა ნამუშევრებს.

შინაარსის რეალიზება - ახალი შინაარსის, ცნებების, უნარების ათვისება

მასწავლებელი თვალსაჩინოებების გამოყენებით კითხულობს **ლექციას** მომსახურების (სერვისის) ნიშნების შესახებ.

რეფლექსია-ცოდნის განმტკიცება და გავრცობა

მოსწავლეები კითხულობენ თემის ბოლოს დართულ შეკითხვებს და **მსჯელობენ** აღნიშნული საკითხების ირგვლივ.

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს საშინაო დავალებას სახელმძღვანელოდან.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. სწავლება და შეფასება - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2008;
2. სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2008;
3. ეფექტური სწავლება სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2009;
4. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2007.

ვებ-გვერდები:

www.tpdg.ge;

www.ncac.ge;

www.ganatileba.org.